# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 16 ნოემბერი 2005 №264 (2587) ფასი 50 თეთრი




**ლიხსიქითა**

336 მატჩი,
177 გოლი:
აი, ასეთია
იონა

4

# საჭიროა თუ არა იორდანიასთან მოგება?



გუშინ იორდანიის ნაკრებმა „ოლიმპზე“ ივარჯიშა



**უარჩევნო არჩევანი**

დღეს ბესიკ
ლიპარტელიანს
ახლად
აირჩევენ

13

# გელით გერმანიაში

## დღეს მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო ხუთი მონაწილე გაირკვევა

სლოვაკეთი — ესპანეთი
თურქეთი — შვეიცარია
ჩეხეთი — ნორვეგია
ავსტრალია — ურუგვაი
ბაჰრეინი — ტრინიდადი





**ბებერ მეფორმულეთა დაბრუნება**

მენსელმა
გამარჯვების
გემო გაიხსენა

15



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფეხბურთელი ქათამი არ არის

## ნოდარ ახალკაცი: რატომ უნდა მოვიგოთ ამხანაგური აუცილებლად?

**საქართველოს** ნაკრების მწვრთნელი გაიოზ დარსაძე თავისი მორყეული სკამიდან ადგომას და წასვლას არ აპირებს, პირიქით, ამბობს, რომ არჩეული გზიდან არაფრით გადაუხვევს.

ეს გუშინდელი ამბავია: ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა და ჯერაც ნაკრების თავკაცმა გაიოზ დარსაძემ პრესკონფერენცია გამართეს და თან გუნდის ლიდერები — გიორგი დემეტრაძე, კახა კალაძე, შოთა არველაძე და ზურაბ ხიზანიშვილი იახლეს.

საინტერესო, ახალი და მნიშვნელოვანი არაფერი თქმულა. ალბათ თავადაც ხვდებით, რომ ფედერაციის პრეზიდენტი და მწვრთნელი იგივეს იტყოდნენ, რაც აქამდე გვესმოდა, ანუ ჩვენ სწორი გზით მივდივართ, ალებულ გეზს არ გადავუხვევთ და წარმატებაში დარწმუნებულნი ვართო...

პრესკონფერენციაზე თქმულის ზოგადი კვეტექსტი ის იყო, საქართველომ ბულგარეთთან ამხანაგური მატჩი რომ ჩაატარა, ბევრი ფეხბურთელი გამოვცადეთ, ბევრსაც მომავალში გამოვცდით და ევროპის ჩემპიონატზე კარგად მომზადებულნი შევხვდებითო. იმ სამარცხვინო ექვს-ექვს გოლზე დანიისგან თუ ბულგარეთისგან პასუხად ისევ ის მივიღეთ, რაც ისედაც ვიცოდით, გუნდი ჩამოყალიბების პროცესშიაო.

— ჩვენ მთავრობასთან კონსტრუქციული ურთიერთობა გვაქვს. ფეხბურთი მხოლოდ სპორტი არ არის, ეს სანახაობა და პოლიტიკაა. ჩვენ ექსპერიმენტების არ გვეშინია. მიგვაჩნია, რომ, რაც უფრო ძლიერია მეტოქე ამხანაგური მატჩისას, მით უკეთ გამოჩნდება ჩვენი სუსტი წერტილები — თქვა *ნოდარ ახალკაცმა.*

— თქვენ თუ არა, ჩვენ წარმოგვიდგენია, რომ სექტემბრისთვის ეროვნული ნაკრების ბაზის, „ეროვნული!" და „მიხეილ მესხის" მოედნების ხარისხი გამოსწორდება.

— ჩვენი ორიენტირი შედეგია, მაგრამ არ ვფიქრობთ, რომ ამხანაგური მატჩები აუცილებლად უნდა მოვიგოთ.

*გაიოზ დარსაძე:* ბოლო მატჩების შემდეგ გამოიკვეთა მთელი რიგი ნეგატიური და პოზიტიური მომენტები. დღესდღეობით ნაკრებში შექმნილია სალი ატმოსფერო, არის დისციპლინა და კარგი განწყობა. ის, რაც შოთა არველაძემ ბულგარეთში მატჩის შემდეგ გააკეთა, ბილეთი დააბრუნა და თბილისში ჩვენთან ერთად წამოვიდა, გვაფიქრებინებს, რომ სწორ გზაზე ვდგავართ. ოპტიმისტურად ვარ განწყობილი.

— თავიდან ფეხბურთელებს ვკითხე, ეთანხმებით თუ არა ჩვენს პროექტს-მეთქი და, როცა მათგან მხარდაჭერა მივიღეთ, მერე გადავდგით ის ნაბიჯი, რითაც ახლა მივდივართ.

— მწვრთნელი ყოველთვის მზად უნდა იყოს, რომ ადრე თუ გვიან მას გაათავისუფლებენ. როცა საქართველოს ნაკრების მწვრთნელად დავინიშნე, ამაზე მაშინაც კი ვფიქრობდი...

მერე „24 საათის" ჟურნალისტის მიხეილ აბაიშვილის კითხვა იყო — 1:6 და 2:6 წაგებული მატჩების შემდეგ სხვა რა კატასტროფა უნდა მოხდეს, ნაკრების მწვრთნელი რომ მოიხსნას?

***ნოდარ ახალკაცი:*** ფეხბურთელი ქათამი არ არის, 21 დღეში გამოიჩეკოს. თქვენ თუ გყავთ თქვენი კანდიდატურა?

***კახა კალაძე:*** ახალი მწვრთნელის კანდიდატურა თუ გყავთ?

***შოთა არველაძე:*** მიმაჩნია, რომ კითხვა არასწორადაა დასმული...

ბატონო ნოდარ, ბატონო გაიოზ! ჩვენც გვყავს ჩვენი კანდიდატურა საქართველოს ნაკრების მწვრთნელის პოსტზე, თანაც არაერთი, მაგალითად: ოთარ გაბელია, სოსო ჩედია, მერაბ კოჭლაშვილი...

საქართველოს ნაკრების ბოლოდროინდელი შედეგების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ეს მწვრთნელები, ზოგი იქნებ უკეთეს, ზოგიც თუნდაც მსგავსსავე შედეგს მიაღწევდნენ. მომავლის გუნდზე ლაპარაკს კი ალბათ ისინიც მშვენივრად შესძლებდნენ.

**კობა ინასარიძე**

### ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. (U-21)

პლეი ოფი

საპასუხო მატჩები

*გერმანია* 1:0 ჩეხეთი (2:0)

*საფრანგეთი* 2:1 ინგლისი (1:1)

*იტალია* 1:0 უნგრეთი (1:1)

### ინგლისი

ასოციაციის თასი. I ეტაპი. გადათამაშება

*სკანთორპი* 1:0 დ.დ. (0:0) ბერი

ჰეროგეითი 0:0 დ.დ. (პენ. 5:6) *ტორკი*

*დონსი* 2:1 ლინკოლნი

*რაშდენი* 0:0 დ.დ. (პენ. 5:4) ჰალიფაქსი

*უოკინგი* 1:0 დ.დ. (0:0) სკანთორპი

*იოვილი* 4:0 მაკლსფილდი

### შოტლანდია

პირველი დივიზიონი

გადადებული მატჩები

ბრეჩინი 2:3 სენტ მირენი

დანდი 1:1 ჰამილტონი

### გერმანია

სამხრეთ რეგიონალლიგა

XVI ტური

რეგენსბურგი 1:0 ბაიერნი (მ)

### ხორვატია

თასის მეოთხედფინალი

საპასუხო მატჩები

*კამენი* 4:1 სლავენი (0:1)

*რიეკა* 8:0 ვინოგრადარი (2:1)

### პოლონეთი

თასის მერვედფინალი

საპასუხო მატჩი

*ოდრა* 3:2 ამიკა (0:0)

### ამხანაგური მატჩები

კამერუნი 0:0 მაროკო

ქუვეითი — ბრაზილია *გადაიდო*

ჩრდ. ირლანდია 1:1 პორტუგალია

### საფრანგეთი

მეორე დივიზიონი

გადადებული მატჩი

ბასტია — სედანი *გადაიდო*

სარბიელელები
ვულოცავთ „ამერის"
მეკარე რევაზ ნაჭყეპიას
და მაკა ხაჩიძეს
გაბედნიერებას

ამერელები
ვულოცავთ
რევაზ ნაჭყეპიას და
მაკა ხაჩიძეს
შეუღლებას


16 ნოემბერი 19:00 საათი თბილისი. მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი

FIFA

საერთაშორისო ამხანაგური მატჩი

საქართველო — იორდანია

GFF JFA

გენერალური სპონსორი
კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია

საქართველოს ეროვნული გუნდი უძლიერესი შემადგენლობით

ეს არის ევროპის მომავალი ჩემპიონატის
შესარჩევი ციკლისთვის მზადების
ერთ-ერთი ეტაპი

ბილეთის ფასი: **2,3 და 5 ლარი**

3000 (სამი ათასი) ბილეთი უფასოდ გადაეცემა
საფეხბურთო სკოლების აღსაზრდელებს

**საინფორმაციო მხარდაჭერა:**

ტელეკომპანიები: "იმედი", „საზოგადოებრივი არხი"
"პირველი სტერეო":
რადიოები: "ეცნობი", "მწვანე ტალღა":
გაზეთები: „სარბიელი", „ოლიმპი",
„სპორტი", „მსოფლიო სპორტი", „24 საათი", „რეზონანსი"

FM 107.4

სარბიელი
სპორტი
ოლიმპი
24

ეროვნული ბიბლიოთეკა

geo_geo_fan@hotmail.com

# GEOფანელები GEOცირკზე

## შენ რეკორდსმენი შეგარქვა ხალხმა

*წერილომანია გრძელდება და იორდანიასთან მატჩის მერეც გაგრძელდება. დღევანდელი ფოსტა კი გაჭრილი ვაშლივით ჰგავს გუშინდელს, ერთი თვის წინანდელს, უფრო ძველს...*

*ერთი სიტყვით, ქართულ ფეხბურთში ყველაფერი ძველებურადაა...*

**ITODUA:** ბულგარეთმა „ლევსკიზე“ GEO-ცირკი მოგვიწყო! გაიოზს რეკორდსმენი უნდა შეარქვას მადლიერმა გულშემატკივარმა. ჩვენი ნაკრების მწვრთნელს კიდევ რამდენი ანტირეკორდი აქვს მოსახსნელი. დავრჩით ისევ გალიმებულები უკეთესი მომავლის იმედით. ვაის გავეყარეთ და უის შევეყარეთო, ამაზეა ნათქვამი. ყველაზე სამწუხარო პირადად ჩემთვის ის არის, რომ ჯუნიორი ნოდარ ახალკაცი იმდენს იზამს, რომ ბევრისთვის სათაყვანებელი სახელი ნოდარ ახალკაცი ხალხში უარყოფით ემოციას გამოიწვევს და მომავალს ვინ ჩივის, წარსულსაც წაგვართმევს. რაღა უნდა ითქვას და დაიწეროს ისეთი, რაც აქამდე არ თქმულა. ყველაფერი დღესავით ნათელი და ცხადია. ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რომ ვერ დაინახოს, რა გვჭირს. მწვრთნელი კი მაინცდამაინც ორნახევარმილიონ დოლარიან ანაზღაურებაზე დახარბებული და შორს საძებარიც არ გვყავდა (თუნდაც ივო შუშაკის საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს ნეტავი), მაგრამ ებრაელებისა არ იყოს, შენი არ იცოდე და სხვისი არ გესმოდესო.

მოკლედ, ვაგრძელებთ ცხოვრებას მომავალ ჩაფლავებამდე. მთავარია, რომ ცირკი წავიდა, მაგრამ კლოუნები დარჩნენ!

ცირკის რა გითხრათ, მაგრამ ერთი რამ აღმოვაჩინე: რაც უფრო და უფრო მეტ გოლს უშვებს საქართველოს ნაკრები, მით უფრო და უფრო უწევენ მაზანდას კარგ უცხოელ მწვრთნელს. თავიდან ამბობდნენ, მილიონი უნდაო, ახლა კი ორნახევარზე ავიდნენ, ოღონდ ბატონი გაიოზის მესაჭეობა გაამართლონ.

**D.PKHAKADZE:** „სარბიელს“ და „სარბიელის“ მკითხველებს გაუმარჯოს! აუ, არ დაიღალეთ ხალხნო? და მთავარი უბედურება რა არის იცით? ძალიან დიდხანს რომ არაფერი გვეშველება. რომ გვგონია, ქართველებმა ყველაფერი ვიცით (მათ შორის, ფეხბურთის თამაში), ეგრე არ არის. მსოფლიოს ძალიან ჩამოვრჩით ყველაფერში და თავს ვიტყუებთ, თითქოს ერთი კარგი თამაშით ან ორიოდე ნიჭიერი ფეხბურთელით ფონს გავალთ. ამ ქვეყანას მხოლოდ მაშინ ეშველება ფეხბურთის ჩათვლით, სანამ აბსოლუტურად ყველა ადამიანი (ფეხბურთელი იქნება, დეპუტატი თუ შავი მუშა) ისე არ იმუშავებს, როგორც ამას ევროპაში აკეთებს ხალხი. სხვა შემთხვევაში, ყოველთვის წამიერი გამონათებები იქნება ხოლმე და სულ ამ დღეში ვიქნებით.

დავიღალეთ თუ არა? რა თქმა უნდა, დავიღალეთ, მაგრამ ავტორის თქმისა არ იყოს, ყველამ თავისი საქმე უნდა გააკეთოს. ჟურნალისტის საქმე კი წერაა, ჰოდა, ჩვენც ვწერთ. თქვენ კი, გულშემატკივრებო, თქვენს საქმეს აკეთებთ — ღელავთ.

**N.DONADZE:** გული გამიცივდა, ძმებო, როცა ანგარიში ვნახე. რაღაზე უნდა ვილაპარაკო, გერმანელი კურსელები დამცინიან (მე ტვინი შევუჭამე, მაგარი საფეხბურთო ერი ვართ-მეთქი). ერთი მეკითხება, საქართველომ კიდევ წააგოო? მეორე პასუხობს, საქართველოს საერთოდ საფეხბურთო ნაკრები ჰყავსო? კინაღამ გავგიჟდი, იმათ სათანადო პასუხი კი გავეცი, მაგრამ სიმართლეს თვალებში შევხედოთ ყველამ — გვყავს ნაკრები? ამ წუთას ახალკაცის ინტერვიუ წავიკითხე, რის უფლებას აძლევს თავის თავს?! საერთოდ ფეხბურთის აზრზეა?

მეც რა ჯანდაბამ გამაგიჟა ამ ფეხბურთზე... მოკლედ გეტყვით, გეგუჩაძის არც ნათესავი ვარ და არც არანაირი შეხება არ მაქვს მასთან, მაგრამ ლიცენზიის გამო კაცი დაიწუნო, სად გაგონილა (არ გადაგვაყოლეს ამ დარსაძის ლიცენზიებს?!). უთხარით მაგას, ან გაზეთში ჩაიხედოს, ან მცოდნე კაცს ჰკითხოს, რა ხდება საფეხბურთო სამყაროში — კლინსმანს არა აქვს ლიცენზია და რაღა ეშველება გერმანიის ნაკრებს. ფიოლერს არ ჰქონდა ლიცენზია და გუნდი ფინალში ათამაშა, ბეკენბაუერს არ ჰქონდა ლიცენზია და მსოფლიოს ჩემპიონი გახადა გერმანია. ამ ქვეყანაში ნაცხოვრები კაცია ახალკაცი და მაგდენი აღარ იცის მაგ კაი კაცმა?! გეგუჩაძეს კი არ ვადარებ ამ ხალხს, უბრალოდ, ულიცენზიობა არ შეიძლება მიზეზად დაასახელო; მერე მეორე, ისეთი ტონით წერს გეგუჩაძეზე, ალბათ, პირადი უთანხმოება აქვთ. ამას გარდა, კისერში ამოგვივიდა, ფული არა გვაქვს, უცხოელი მწვრთნელი ვერ ჩამოგვყავს და ასეთები. ტირილსაც ხომ აქვს საზღვარი. „შპორტბილდს“ ალბათ ეცნობით, ჰოდა, ერთს მოგიყვებით: დაახლოებით წელიწადნახევრის წინ გამოქვეყნდა ბუნდესლიგის მწვრთნელთა ხელფასები: ფოლკერ ფინკეს ხელფასი ბოლო ადგილზე იყო და, იცის ახალკაცმა, რამდენს უხდიან ფინკეს წელიწადში? 350 000 ევროს და არა 2-2,5 მილიონს, როგორც ეგ გვატყუებს. ჰოდა, ფინკეს კვალიფიკაციაში თუ ვინმეს ეჭვი ეპარება, აღარ ყოფილა საშველი. მხოლოდ ბეკენბაუერს ფელდი ილებდა ხელფასად და ბოლომამ დამახრჩო, მაგის ინტერვიუ რომ წავიკითხე პირველ რიგში, რაზეც გული დამწყდა, ის არის, რომ მაგის ხელში ქართულ ფეხბურთს არ ეშველება. ახალკაცი რომ ამბობს, საქართველოს ჩემპიონატი სუფთააო, მაგან მოატყუოს... ძოძუაშვილზე რომ ამბობს, წარსულში დაბრუნება არ გვინდაო, უამრავ მაგალითს დავუსახელებ ნოდარიკოს, როცა მწვრთნელი თავის ძველ გუნდს დაბრუნებია და დიდი გამარჯვებისთვისაც მიუღწევია, როგორც საკლუბო, ისე სანაკრებო დონეზე. რამდენჯერ ვუთხარი ჩემს თავს, ნაკრების თამაში რომ იქნება, არ გაიგო ანგარიში-თქო, მაგრამ მოვალ თუ არა სახლში, „ლაივში“ ვადევნებ თვალს ანგარიშის ცვალებადობას. ისღა დამრჩენია, ჩემ „კობის“, „ცქიტოს“, „იაშკას“, „შუბის“, საჯაიას, ხიზანეიშვილის და გემეზაშვილის წარმატებებით გავიხარო.

აი, აქ შევწყვეტ წერას და დროებით დაგემშვიდობებით...

რა ვთქვათ? მაგრად მიუქარავს ჩვენს მეგობარს, თავისი გერმანელი მეგობრებისთვის რომ გაუგებინებია, ფეხბურთის მოყვარული რომ არის. უნდა ეთქვა, ბობსლეის თაყვანისმცემელი ვარო და მერე ერკვიათ იმ გერმანელებს ქართული ბობსლეის ავკარგიანობა.

რაც შეეხება მწვრთნელის ხელფასს... თუმცა ხელფასის თაობაზე ჩემი დაკვირვება უკვე მოგახსენეთ.

**T.LATSABIDZE:** მოგესალმებით! ხვალ მოიგებს საქართველო. ალბათ მსაჯის დახმარებითაც. მერე დაჯდებიან ახალკაცი და დარსაძე და ოფიციალური და ქედმაღლური ტონით დაგვმოძღვრავენ, რომ ყველაფერი კარგადაა.

შემდეგ მალტასთან წავაგებთ 3:6, მერე ლუქსემბურგთან 4:6, ფარერებთან 5:6 და გვეტყვიან, პროგრესი სახეზეა და აი, ნახავთ, სან მარინოს თუ არ მოვუგოთო.

კმარა!!!

არაააა. მალტას, ლუქსემბურგს და ფარერებს როგორ ვერ მოვუგებთ, თუმცა...

**MEZVRO:** მე არ ვარ არც ახალკაცის, არც დარსაძის, ანაც ვინმე კონკრეტული ფეხბურთელის მხარდამჭერი თუ გულშემატკივარი. ისინი არც იმსახურებენ ამას. მე ჩემი ქვეყნის მოყვარე და ქომაგი ვარ. ასე რომ, მე ხვალ სტადიონზე მივდივარ, რათა საქართველოს დავუდგე მხარში, რითაც შემიძლია.

სხვებსაც მოგიწოდებთ თამაშის ნახვას, ოღონდ ბოთლების და ქვების გარეშე! ქვასროლია გულშემატკივარს არანაირი გამართლება არ აქვს!

**WEB-ოსტატი გუარა**



ქართველი ქომაგის ცხოვრება მწარე ცირკია



geo_geo_fan@hotmail.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინფორმაცია გვინდა სანდო

როდესაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის უფროსობა გვეუბნება, რომ მძიმე მემკვიდრეობა ერგო და ამის გამოა, ბევრი პრობლემის მოგვარებას თავი რომ ვერ მოაბა, გვჯერა, თუმცა გასამართლებელ საბუთად ვერ მივიღებთ. ქვემოთ კი იმაზე გვექნება ლაპარაკი, რისიც არ გვჯერა.

კონკრეტულ მაგალითს მოგახსენებთ: ფედერაციის პრესმდივან სანდრო ცნობილაძისგან ვიცოდით, რომ იორდანიის ნაკრებს გუშინ 19 საათზე ვაკეში, „მიხეილ მესხზე" უნდა ევარჯიშა. ისიც ვიცოდით, რომ საქართველოს ნაკრების საღამოს ვარჯიში გუშინ საერთოდ არ იყო დაგეგმილი. ჰოდა, ბუნებრივია, როცა სოლიდური ორგანიზაციის პრესსამსახური ინფორმაციას გაწვდის, მისი სიტყვების სისწორეში ეჭვი არ უნდა შეგეპაროს.

მაგრამ რა — მიდის ჩვენი კორესპონდენტი მითითებულ დროს მითითებულ ადგილას და იგებს, რომ იორდანიელებმა თურმე „ოლიმპზე" უკვე ივარჯიშეს. იმასაც ვიგებთ, რომ საქართველოს ნაკრებსაც უვარჯიშია.

ახლა კი იმას მოგახსენებთ, რისი არ გვჯერა.

არ გვჯერა, რომ ეს სანდრო ცნობილაძის პირადი შეცდომაა, რადგან:

ის შეცდა მაშინაც, როცა საქართველოს ნაკრების ბულგარეთისწინა ვარჯიშის არასწორი ადგილი დაგვისახელა;

ის შეცდა მაშინაც, როცა... თუმცა მოდით, ჩამონათვალს ნულარ გაგვაგრძელებინებთ და მოკლედ მოგახსენებთ, რომ ის რატომღაც ხშირად ცდება.

ჩვენ არ ვართ ის ხალხი, ერთ, ორ და თუნდაც სამ შეცდომას კუდები გამოვაბათ, მაგრამ როცა ერთი და იგივე ხდება ფეხბურთის ფედერაციაში ახალი ხელისუფლების მოსვლის დღიდან...

ერთი სიტყვით, როგორც ეტყობა, საქმე გვაქვს ან სრულ ქაოსთან, ან სრულ უცოდინარობასთან და, გინდა ერთი იყოს, გინდა მეორე, ფედერაციის უფროსობა თავს მძიმე მემკვიდრეობით ვერ გაიმართლებს.

ისე კი, იმედი გვაქვს, ფედერაცია (და არა კონკრეტულად ცნობილაძე) მისდამი კრიტიკული დამოკიდებულების გამო არ ცდილობს ჩვენთვის თავგზის აბნევას.

# 336 მატჩი 177 გოლი



# ლიხსიქითა

## აი, ასეთია იონა...

*„იონა". ის არ არის მხოლოდ ყველაზე მეტი გოლის გამტანი საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებში, „იონა" არც ქარიზმატული პერსონაა, „იონა" უფრო სახალხო მოთამაშეა, ქართული საფეხბურთო პროლეტარიატის გამორჩეული ფიგურა.*

*„იონა" ქუთაისელია, ეთნიკური წარმომავლობით ასირიელი, ლიხსიქითა ვარსკვლავი, მუდამ ლიხსიქითა გუნდებში მოთამაშე, თამაშის გამომძრობი ფორვარდი.*

*წყალტუბოს „სამგურალი", „სამტრედია", ქუთაისის „ტორპედო"... ახლა კი ზურაბ იონანიძე „ზესტაფონის" შემტევია, სადაც ერთი წლის წინ მივიდა, მაშინ, როცა სიმფეროპოლის „ტავრიადან" წამოსული კარგა ხანს უგუნდოდ იყო.*

„ზესტაფონი" მყვირალა გუნდია, ამ გუნდში უსტატუსოდ საქმიანობს ეროვნული ნაკრების თავკაცი გაიოზ დარსაძე, სადაც თავისი ფავორიტი ჯეელებიც მიუყვანია; ზესტაფონის სპონსორი „ფეროა", რომლის ნაწარმსაც მსოფლიო მეტალურგიული ბაზრის 6 პროცენტი უკავია, რაც ერთ-ერთ ცნობარში ამოვიკითხეთ; „ზესტაფონმა" თურქეთიდან ჩამოიტანა მინდვრის საფარი და დააგო, მალე ბაზასაც ააშენებს და კიდევ ბევრის გაკეთებას შეეცდება, მაგრამ მინდვრები, ნაგებობები და ინტრიგები ისე ვერ ქმნიან ფეხბურთის ისტორიას, როგორც სახალხო ფეხბურთელები.

მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის მეცამეტე ტურში 33 წლის „იონამ" ორი გოლი გაუტანა ფოთის „კოლხეთს", თავისი საგოლე მონაგარი საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებში 177-მდე გაზარდა ასევე სარეკორდო 236 თამაშში...

„ჩვენს კლუბზე ათასი მითქმა-მოთქმა კია, მაგრამ ეს მე ხელს არაფერში მიშლის. თუ „ზესტაფონი" გუნდის მკვეთრად გაახალგაზრდავებაზე გააკეთებს აქცენტს, არც ეგაა პრობლემა, ყველა თავის გზას დაადგება. უნდობლობა კი არც „ზესტაფონში" და არც სხვა გუნდებში არ მიგვრძნია. ყველა გუნდში ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ვიყავი და, როცა თერთმეტ კაცში ვერ მოვხვდები ხოლმე, ეს არ მსიამოვნებს, მაგრამ არავისთვის მილალატია" — გვითხრა გუშინ იონანიძემ.

მე კი „ზესტაფონის" ერთ-ერთი მესვეურისგან ჩემი ყურით მოვისმინე, ჩვენს მწვრთნელს ხანდაზმული იონანიძე ვერა და ვერ გავაშვებინე გუნდიდან, „ზესტაფონში" ახალგაზრდა პერსპექტიულმა ფეხბურთელებმა უნდა ითამაშონო.

საქართველოში ასეა, უმეტესობა იმას არ ლაპარაკობს, რასაც სინამდვილეში ფიქრობს და ყველაზე უფრო, ალბათ, ამიტომაც ვართ ასეთ დღეში, მაგრამ „იონაზე" ამას ვერ ვიტყვით, რადგან „იონა", როგორც საქართველოს ლიხსიქითა სახალხო ფეხბურთელი, ნამდვილია და არა გამოგონილი.

„ზესტაფონში ფეხბურთი ძალიან უყვართ და ზესტაფონელი გულშემატკივრისგან დიდ სითბოსაც ვგრძნობ. როცა დიქტორი ჩემს გვარს აცხადებს, ამას ქომაგის ტაში მოსდევს, ასე იყო „ტორპედოშიც". ლანძღვა-გინება კი გულშემატკივრობა არ არის და ასეთი რამ არც საშინაო და არც გასვლით თამაშებში უკადრებიათ ჩემთვის. მიდი, „იონა"! შენი იმედი გვაქვს! ქომაგი მე ასე შემომძახებს ხოლმე" — გვიყვება საკუთარ თავზე იონანიძე.

„იონას" რუსეთ-უკრაინაშიც გაუგორებია ბურთი, რუსეთის უმაღლეს ლიგაში 1996 წელს შვიდი გოლიც კი გაიტანა, როცა სოჭის „ჟემჩუჟინაში" თამაშობდა, ხოლო ეროვნული ნაკრების მაისურა სამჯერ მოირგო და ერთხელ გოლიც გაიტანა აზერბაიჯანთან ამხანაგურ მატჩში.

მაგრამ „იონა" უფრო ლიხსიქითა ფენომენი იყო და არის, მას არასოდეს უთამაშია თბილისურ გუნდში, თუმცა...

„მაინცდამაინც თბილისის რომელიმე გუნდში მეთამაშა, ასეთი სურვილი არასოდეს მქონია, მაგრამ იყო ასეთი ოცნება: თბილისის „დინამო" და, ეს ალბათ ყველა ქართველი ფეხბურთელის ოცნებაა. მითამაშია ისეთ „სამტრედიაში" და „ტორპედოში", რომლებიც თბილისის „დინამოს" არაფერში ჩამოუვარდებოდნენ, მაგრამ „დინამოდან" რომ ყოფილიყო დაინტერესება..."

აი, ასეთია „იონა", ვისაც რამდენჯერმე დაუმწუხრებია „დინამო" გოლებით და ირწმუნება, რომ ფორვარდისთვის ნებისმიერი გოლი მნიშვნელოვანია, მაგრამ...

2002-2003 წლების სეზონი, ჩემპიონატის მეორე ეტაპი, როცა „ტორპედოს" ფინანსური ზურგი მოყანყალებული აქვს, ხოლო „დინამოს" ბადრი პატარკაციშვილი ღლევანდელობასთან შედარებით საკმაოდ სოლიდურ ფულს ახარჯავს; „დინამოს" ივო შუშაკი წვრთნის, ვისაც ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის საზომით ძალიან ბევრი კარგი ფეხბურთელი ჰყავს, მაგრამ „ტორპედო" პირველ რიგში „იონას" კარგი თამაშის წყალობით ჯერ შინ ამარცხებს „დინამოს" 1:0, თბილისში კი იონანიძეს ორი გოლი გააქვს დავით გვარამაძის კარში და „ტორპედო" 2:0-ს იმარჯვებს — „იონა" კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ყველაფერ იმას, რაც „დინამოში" ხდება...

გასახსენებელი სხვაც ბევრია და ალბათ კიდევ იქნება, რადგან: „ფეხბურთის თამაშს კიდევ ოთხი-ხუთი წელი ვაპირებ, ასე მსურს და ვფიქრობ, ამას შევძლებ კიდეც" — „იონამ" ისიც გვითხრა, რომ ფეხბურთის თამაშის გარდა კარგად ჯერ არაფერი ეხერხება და — „საერთოდ, ფეხბურთით ვსუნთქავ და ასე იქნება მაშინაც, როცა თამაშს თავს დავანებებ".

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს პირველი ჩემპიონატი

პირველი 17 ნრე

**გადადებული მატჩი**

**ზესტაფონი 2 2:1 ვიტ ჯორჯია 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 14 | 11 | 1 | 2 | 45:17 | 34 |
| მერანი | 14 | 9 | 3 | 2 | 21:9 | 30 |
| დინამო 2 | 14 | 9 | 2 | 3 | 26:8 | 29 |
| მეშაქრე | 14 | 9 | 2 | 3 | 27:12 | 29 |
| რუსთავი | 14 | 8 | 3 | 3 | 26:14 | 27 |
| ამერი 2 | 14 | 8 | 1 | 5 | 23:14 | 25 |
| გურია | 14 | 7 | 3 | 4 | 25:15 | 24 |
| გაგრა | 13 | 6 | 4 | 3 | 18:12 | 22 |
| მესხეთი | 14 | 6 | 3 | 5 | 18:18 | 21 |
| საგარეჯო | 14 | 6 | 2 | 6 | 15:14 | 20 |
| მეშახტე | 14 | 5 | 5 | 4 | 16:11 | 20 |
| ზუგდიდი | 14 | 5 | 3 | 6 | 7:11 | 18 |
| ლოკომოტივი 2 | 14 | 4 | 1 | 9 | 11:28 | 13 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 14 | 3 | 3 | 8 | 10:18 | 12 |
| თბილისი 2 | 14 | 3 | 3 | 8 | 14:27 | 12 |
| მალაროელი | 14 | 2 | 1 | 11 | 10:38 | 7 |
| ზესტაფონი 2 | 13 | 2 | 0 | 11 | 11:30 | 6 |
| ლიახვი | 14 | 2 | 0 | 12 | 12:39 | 6 |

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

პირველი წრე

13 ტური მიმოხილვა

# გადავვარდეთ ტლაპოში...

საქართველოს მე-17 ეროვნული ჩემპიონატის მე-13 ტურიც ჩათავდა და ლიდერი „ვიტ ჯორჯია“ კიდევ უფრო წინ გაიჭრა, რაშიც ბოლნისის „სიონის“ წაფორხილებამ შეუწყო ხელი. ამ და სხვა ამბებზე ქვემოთ მოგითხრობთ, აქ კი დავძენთ, რომ მე-13 ტურის ყველაზე დიდი ნაკლი უხეირო მინდვრები იყო — ნოემბრის წვიმამ თავისი ქნა და ისედაც დაბეჩავებული მოედნები მთლად ტალახად აქცია...



ვიტელმა ბომბარდირმა ოთარ მარცვალაძემ (შუაში) „ლოკომოტივსაც“ გაუტანა

მთავარი მატჩი მცხეთაში, რა თქმა უნდა, ატალახებულ „არმაზზე“ გაიმართა. „ვიტ ჯორჯიამ“ 2:0 სძლია „ლოკომოტივს“ და ერთი გოლი ოთარ მარცვალაძემ გაიტანა. ვიტელთა ფორვარდს 13 მატჩში 12 გოლი მოუგროვდა და ბომბარდირებსაც სათავეში უდგას.

უარეს ტლაპოში ჩატარდა „ბორჯომ“ — „ტორპედოს“ მატჩი. „ოლიმპიკის“ სტადიონზე ფეხბურთის გარდა ყველაფრის თამაში შეიძლებოდა, თუმცა ჯახი მაინც შედგა. მეტოქეებმა ერთმანეთს არაფერი დააკლეს და დიდი შანსი იყო, გამოუცდელ „ტორპედოს“ ქულაც გაეყოლებინა შინ, მაგრამ... 55-ე წუთზე ალექსანდრე ბურნაძემ პენალტით გაიტანა და სამი ქულაც „ბორჯომს“ დარჩა...

— ჩემი ფეხბურთელები „დინამოს“ სახელმა დააფრთხოო, განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „ბათუმის“ თავკაცმა ოთარ გაბელიამ და ალბათ მართალიც იყო, თუმცა, საკითხავია, როდემდე უნდა აგებდეს გუნდი „დინამოსთან“ მოედანზე გასვლამდე?! ჩანს, ბათუმელებმა ეს ყბადაღებული კომპლექსი ჯერაც ვერ მოიხსნეს და მატჩიც 1:3 დათმეს. დინამოელთაგან თავი გია მეგრელაძემ და მიხეილ ბობოხიძემ (ორჯერ) გამოიჩინეს.

ტურის ყველაზე უხვგოლიან მატჩში აუტსაიდერები შეიბნენ — „თბილისმა“ 4:3 მოუგო „სოხუმს“ და, მიუხედავად იმისა, რომ 4:1 იგებდა, გვარიანი ნერვისწყვეტა დასჭირდა საქმის ბოლომდე მისაყვანად.

„ამერმა“ თელავში „კახეთს“ შემოუტრიალა თამაში და 2:1 დაამარცხა. ამერელები მეკარე ლადო ნადირაშვილის შეცდომით აგებდნენ, თუმცა სულიკო დავითაშვილმა და მისმა თანაგუნდელებმა პირველივე ტაიმში მოაშთეს ჩამორჩენა და საჭირო სამი ქულით შეივსეს მარაგი.

„ცხინვალ“ — „დილას“ გორული შეყრა ფრედ დასრულდა. ცხინვალელებმა ეგრეც ვერ შეძლეს ორბურთიანი უპირატესობის შენარჩუნება და ქულასღა დასჯერდნენ. სხვათა შორის, სტუმართა გასახდელში ამჯერად არავინ შეპარულა — ეტყობა, „დილას“ ფეხბურთელების მობილურ ტელეფონებზე არც ისე დიდი მოთხოვნაა...

კობა ჟორჟიკაშვილმა ბოლოჯერ უხელმძღვანელა „ზესტაფონს“ და „კოლხეთი“ 3:0 დაამარცხა. ამ მატჩის დასრულებისთანავე იმერელ კლუბს ძველი მწვრთნელი ოთარ მახარაძე დაუბრუნდა, ჟორჟიკაშვილმა კი ფარმ-კლუბში გადაინაცვლა.

**კახა შალამბერიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 13 | 10 | 2 | 1 | 30:9 | 32 |
| სიონი | 13 | 9 | 2 | 2 | 24:11 | 29 |
| დინამო | 13 | 9 | 1 | 3 | 21:7 | 28 |
| ამერი | 13 | 9 | 1 | 3 | 15:8 | 28 |
| ბორჯომი | 13 | 9 | 0 | 4 | 24:10 | 27 |
| ლოკომოტივი | 13 | 8 | 3 | 2 | 18:5 | 27 |
| ზესტაფონი | 13 | 6 | 3 | 4 | 13:11 | 21 |
| ბათუმი | 13 | 6 | 2 | 5 | 13:12 | 20 |
| კოლხეთი | 13 | 6 | 0 | 7 | 13:16 | 18 |
| დილა | 13 | 5 | 1 | 7 | 17:16 | 16 |
| კახეთი | 13 | 5 | 0 | 8 | 13:20 | 15 |
| ცხინვალი | 13 | 3 | 2 | 8 | 9:23 | 11 |
| სოხუმი | 13 | 3 | 1 | 9 | 14:31 | 10 |
| ტორპედო | 13 | 2 | 4 | 7 | 8:14 | 10 |
| სპარტაკი | 13 | 1 | 2 | 10 | 3:21 | 5 |
| თბილისი | 13 | 1 | 0 | 12 | 8:28 | 3 |

### სიმბოლური ნაკრები

ზურაბ იონანიძე — ზესტაფონი
სულიკო დავითაშვილი — ამერი
მიხეილ ბობოხიძე — დინამო
ალექსანდრე კოშკაძე — ამერი
კახა ალადაშვილი — დინამო
დავით ბოლქვაძე — სიონი
მიხეილ ბარაბაძე — თბილისი
თენგიზ კობიაშვილი — ვიტ ჯორჯია
ალექსანდრე ბურნაძე — ბორჯომი
პავლე დათუნაიშვილი — ვიტ ჯორჯია
ზურაბ ძამსახია — ზესტაფონი

გუნდი: ვიტ ჯორჯია
მწვრთნელი: გიგლა იმნაძე

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 12-მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| 9-დვალი | სიონი |
| 7-ქუთათელაძე | კოლხეთი |
| 6-ქორიძე | ბორჯომი |
| დოლიძე | სიონი |
| მეგრელაძე | დინამო |
| დავითაშვილი | ამერი |
| 5-ბობოხიძე | დინამო |
| მიქუჩაძე | სიონი |
| იაშვილი | დინამო |

| სტადიონი | მატჩი | მინდვრის მდგომარეობა | ორგანიზაცია | დასწრება | საშუალო ბალი |
|---|---|---|---|---|---|
| „ცენტრალური“ ზესტაფონი | ზესტაფონი 3:0 კოლხეთი | 8,5 | 7,0 | 9,0 | 8,1 |
| „ბივი ჩოხელი“ თელავი | კახეთი 1:2 ამერი | 7,5 | 6,0 | 8,0 | 7,1 |
| „შევარდენი“ თბილისი | სპარტაკი 1:1 სიონი | 6,0 | 6,0 | 5,5 | 5,8 |
| „ოლიმპი“ თბილისი | თბილისი 4:3 სოხუმი | 8,5 | 6,5 | 2,0 | 5,6 |
| „ეროვნული“ თბილისი | დინამო 3:1 ბათუმი | 6,5 | 7,5 | 2,0 | 5,3 |
| „არმაზი“ მცხეთა | ვიტ ჯორჯია 2:0 ლოკომოტივი | 5,5 | 6,5 | 1,5 | 4,5 |
| „ქართლი“ გორი | ცხინვალი 2:2 დილა | 5,0 | 4,5 | 1,0 | 3,5 |
| „ოლიმპიკი“ თბილისი | ბორჯომი 1:0 ტორპედო | 1,0 | 3,0 | 4,5 | 2,8 |

### მომდევნო ტური

19 ნოემბერი, შაბათი

ამერი – სიონი
ტორპედო – სპარტაკი
ლოკომოტივი – ბორჯომი
დილა – ვიტ ჯორჯია
ბათუმი – ცხინვალი
კოლხეთი – დინამო
კახეთი – თბილისი

20 ნოემბერი, კვირა

სოხუმი – ზესტაფონი

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. პლეი ოფი. საპასუხო მატჩები. დღეს

# ფიქრები, ფიქრები...
## ფიფას ესპანეთი სურს

### სლოვაკეთი — ესპანეთი (1;5)

საავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| ჩონტოფალსკი, პეტრაში, გრეშკო, შკრტელი, კრატოხვილი, ზაბავნიკი, ჰლინკა, ჰოდური, ფოდრეკი, ვიტეკი, ნემეტი | კასილიასი, სალგადო (ან სერხიო რამოსი), პუიოლი, პაბლო, ა. ლოპესი, ხავი, ხაბი ალონსო, ვისენტე, ვილა, რაული, ფ. ტორესი |

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

**სლოვაკეთის** ეროვნულ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად სასწაული სჭირდება — ლუის არაგონესის ესპანეთმა ხომ პირველ მატჩში „ვისენტე კალდერონზე“ სლავი მეტოქე 5:1 გაანადგურა და მუნდიალზე გასვლის თითქმის ყველანაირი შანსი მოუსპო.

ისტორიაში რომ გადავიდეთ, „ესპანური ქარიშხალი“ ოთხბურთიანი სხვაობით იშვიათად აგებს ხოლმე — უკანასკნელად კასტილიელები ასე 1950 წლის მსოფლიოს პირველობაზე მასპინძელ ბრაზილიასთან დამარცხდნენ 1:5. სლოვაკეთი კი ბრაზილია არ არის. დუშან გალიჩის ბიჭებმა აქამდე ლიხტენშტაინი (7:0, 4:0), მალტა (6:0) და ბელარუსი (4:0) გაამწარეს, ოღონდ, ცხადია, ხსენებული მაჩანჩალებიც ვერ შეედრებიან ესპანეთს.

ბრატისლავაში ჩასულ ესპანეთის ნაკრებს ქარი, წვიმა და იქაურ ფანთა მრისხანება ერთად დაუხვდა. სლოვაკი ფანები „ვისენტე კალდერონზე“ მათი საყვარელი გუნდის გაცამტვერებით იყვნენ ვანაწყენებულნი და სტუმართა თავდამსხმელ რაულსაც ავტოგრაფებისთვის თითო-ოროლა თინეიჯერი გოგონა თუ მიეჭრა წივილ-კივილით...

პირველ თამაშში განცდილ კოშმარს კი მარტო გულშემატკივრები როდი გაუბრაზებია. „მადრიდში მსაჯმა ესპანეთის მოსაგებად ყველაფერი გააკეთა. მასიმო დე სანტისს მე მოსიარულე ჭირს დავარქმევდი. თან ფიფაც მუნდიალზე ჩვენი კი არა, ესპანეთის მოხვედრით არის დაინტერესებული. მსოფლიო ფეხბურთის მესვეურებზე ესპანელთა გავლენა დიდია და სლოვაკეთიც ამიტომ დაიჩაგრა“ — განუცხადა მედიას მიროსლავ კარჰანმა, მასპინძელთა ნაკრების კაპიტანმა.

კარჰანი დღევანდელ ჯახში მონაწილეობას ვერ მიიღებს, ისევე როგორც მარიან ჰადი — დე სანტისმა სლოვაკებს წითელ-ყვითელი ბარათები ჩამოურიგა. დამხვდურებს ვერც დუშან გალიჩი უთავკაცებს: მწვრთნელმა ოთხი დღის წინ ესპანელთა მეორე გოლი ერთობ ფიცხად გააპროტესტა და იტალიელმა არბიტრმაც მაგინებელი სპეციალისტი უყოყმანოდ გააძევა.

მატჩი „ტეჰელნე პოლეზე“ ჩატარდება. სტადიონის სახელი სიტყვასიტყვით „აგურის მინდორს“ ნიშნავს და ამგვარად გარშემო აგურის შენობათა დიდი სიმრავლის გამო მოუნათლავთ.

კიდევ ერთი დეტალი — სლოვაკ ქომაგებს რასისტული გამოხდომები სჩვევიათ ხოლმე: 2004 წელს „ტეჰელნე პოლეზე“ მოთამაშე ინგლისელ შავკანიანებს, ემილ ჰესკისა და ეშლი კოულს ხალხმა სულ „შავი მაიმუნები“ უძახა, სამი თვის წინ კი „გერმანელ“ ნიგერიელს, პატრიკ ოვომოიელასაც ფრიად აგინეს. მართალია, ესპანეთს შავი არავინ ჰყავს, თუმც მსაჯზე გაცოფებული ფანები მიზეზს აუცილებლად იპოვიან მეტოქის გასალანძღად.

სტუმართა მხცოვანი თავკაცი ლუის არაგონესი სავარაუდოდ, ასევე დელ ორნოს და წინა მატჩის გმირს, ლივერპულელ ლუის გარსიას დაასვენებს. დელ ორნოს ანტონიო ლოპესი შეცვლის, ხოლო ლუის გარსიას ნაცვლად მოედანზე ვალენსიელი დავიდ ვილა გავა. საყრდენი ნახევარმცველი დავიდ ალბელდა დისკვალიფიცირებულია, ამიტომაც მის ადგილს ხაბი ალონსო დაიკავებს. სავარაუდოდ ხოსე ანტონიო რეიესის ნაცვლად ვისენტესაც ვიხილავთ.

ძირითადში იქნება მადრიდელი სერხიო რამოსი, რაც მიჩელ სალგადოს სათადარიგოებში ავტომატურად გადანაცვლებას ნიშნავს. ესპანეთის ნაკრებში რვა ფეხბურთელს აქვს ყვითელი და თუ პუიოლმა, მარჩენამ, დელ ორნომ, ტორესმა, ვილამ, მორიენტესმა, სერხიო რამოსმა და რეიესმა გაფრთხილება დღევანდელ მატჩშიც მიიღეს, გერმანიის მუნდიალის პირველ შეხვედრასაც გამოტოვებენ.

„ვიცი, რომ საპასუხო მატჩს დიდებულად ვერ მოვიგებთ, თუმც ფიქრით უკვე გერმანიაში ვართ“ — განუცხადა ჟურნალისტებს.

**ლადო ხომერიკი**



ლუის არაგონესი: ფიქრით უკვე გერმანიაში ვართ

# თურქული კერძი
## ავტობუსი კვერცხით და მაწვნით





ფატიჰ თერიმი იაკობ კუნის შვეიცარიას სახეშეცვლილ თურქეთს დაახვედრებს

### თურქეთი — შვეიცარია (0:2)

საავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| ვოლქანი, უმით ოზატი, იბრაჰიმი, ალფაი, სერქანი, ჰამიტ ალტინტოპი, ემრე, ბაშთურქი, თუმერი, შუქური, ფატიჰ ტეკე | ცუბერბიულერი, დეგენი, მიულერი, სენდეროსი, შპიხერი, გიგაქსი, ფოგელი, ბარნეტა, კაბანასი, ფრეი, ვონლანტენი (ან შტრელერი) |

მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

**კვერცხით** და მაწვნით დახვდნენ შვეიცარიის ნაკრებს სტამბოლის აეროპორტში. ფეხბურთელებს ვერ ესროლეს, მაგრამ სასტუმროსკენ მიმავალი მათი ავტობუსი კი გვარიანად დაითხუპნეს.

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჯოჯოხეთში. 5:0!“ — ასეთი პლაკატით შეეგებნენ სტუმრებს გიჟმაჟი მასპინძელი ფანები.

ოთხი დღის წინ, ბერნში ვამართულ მატჩის შემდეგ, თურქები შეურაცხყოფილნი და დამარცხებულნი დარჩნენ. შვეიცარიელებმა ოსმალოთა ჰიმნს უსტვინეს, ფატიჰ თერიმს და მის გუნდს აგინეს, „იმპერატორი“ კი საპრესკონფერენციო დარბაზში არ შეუშვეს. ბერნში მომხდარი თურქეთის ფეხბურთის ფედერაციამ გააპროტესტა, მაგრამ გულშემატკივრებს სიმშვიდსკენ მოუწოდა.

თურქ ქომაგებს რა დააწყნარებთ: ისინი შურისძიებისთვის ემზადებიან. დღეს სტამბოლში ომი უფრო იქნება, ვიდრე ფეხბურთი. „შუქრუ სარაჯოღლუ“ გაივსება და 40 ათასამდე წითელი დროშა იფრიალებს.

შვეიცარიელ ფანებს სტამბოლური მატჩისთვის 6 ათასი ბილეთი ადრევე ჰქონდათ დაჯავშნული, მაგრამ ისე ახლა დაშინდნენ, რომ მხოლოდ 500 კაცი აპირებს თურქეთში წასვლას.

ფატიჰ თერიმი ამჯერად უფრო ყინჩადაა, რადგან გუნდს სამი ფეხბურთელი დაემატა: ჰამიტ ალტინტოპი, ემრე ბელოზოღლუ და ილდირაი ბაშთურქი. მათ ბერნული შეხვედრა გამოტოვეს, რამაც ნაკრების ნახევრდაცვის სუსტი თამაში გამოიწვია — ალტინტოპმა და ემრემ სასჯელი მოიხადეს, ბაშთურქი კი ტრავმისგან მომჯობინდა, თუმც ძირითად შემადგენლობაში მისი გამოჩენა საეჭვოა.

დაცვის ხაზში „იმპერატორი“ ცვლილებას არ აპირებს, ხოლო შეტევაში თუნჯაის თამაშით უკმაყოფილო დარჩა და მას ალბათ ფატიჰ ტეკეთი შეცვლის ანუ „ბოსფორის ბულა“ ჰაქან შუქური ტეკეს მეწყვილე იქნება. დისკვალიფიცირებულმა ჰუსეინ ჩიმშირმა განაცხადა: „ორბურთიანი სხვაობის გაბათილება იოლი არაა, მაგრამ უნდა ვეცადოთ, პირველი გოლი სწრაფად გავიტანოთ, რაც საქმეს ოდნავ გაგვიადვილებს“.

შვეიცარიელებს მარცხენა მცველი ლუდოვიკ მანინი დააკლდებათ, რომელიც ბერნულ შეხვედრაში საუკეთესო იყო. მის ადგილს „აინტრახტის“ ლეგიონერი კრისტოფ შპიხერი დაიკავებს მარკო შტრელერის მაგივრად კი შეტევაში შესაძლოა, იოჰან ვონლანტენმა ითამაშოს.

„ტაქტიკის შეცვლას არ ვაპირებ — განაცხადა სტუმართა მწვრთნელმა იაკობ კუნმა — თურქები თავიდანვე შეგვიტევენ და ეს კონტრიერიშებისთვის სივრცეს მოგვცემს. მთავარია, რომ ჩემი ფეხბურთელები პროვოკაციას არ აჰყვნენ, რაც მოსალოდნელია“.

**რომან თურქია**

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. პლეი ოფი. საპასუხო მატჩები. დღეს

# ნორვეგიას გასვლა უჭირს

## მაქსიმალური სიზუსტე და ყურადღება

**ჩეხეთი — ნორვეგია (1:0)**

სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| ჩეხი, გრიგერა, როზენალი, უიფალუში, იანკულოვსკი, პობორსკი, პოლაკი, ნედვედი, როსიცკი, ბაროში, შმიცერი | მირე, ბერგდოლმო, ჰაგენი, ჰანგელანდი, რიისე, ჰელსტადი, ჰესტადი, გრინდჰეიმი, მ. პედერსენი, კარეუ, არსტი |

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

**ნორვეგია** წლეულს სტუმრად უკეთ თამაშობს, ვიდრე შინ და მწვრთნელ აგე ჰარეიდესაც ეს ფაქტი აიმედებს. შესარჩევ ჯგუფში ვიკინგებმა ხუთი გასვლითი მატჩიდან 3 მოიგეს, ერთი ფრედ დაასრულეს და ერთიც წააგეს.

„ჯერ არაფერი დასრულებულა — თქვა სტუმართა მეკარე თომას მირემ — ჩეხებს მხოლოდ ერთბურთიანი უპირატესობა აქვთ. საინტერესოა, პრაღაში რა მოხდება, მაგრამ ჩვენ თუ ისე ვითამაშეთ, როგორაც შეგვიძლია, მოგების შანსი გვექნება“.

„მაქსიმალური სიზუსტე და ყურადღება გვჭირდება — განაცხადა აგე ჰარეიდემ — რამდენიმე ჩემ ფეხბურთელს ოსლოში აგრესიულობა აკლდა. უნდა ვეცადოთ, გოლი სწრაფად გავიტანოთ, თან კი მეტოქეს კონტრშეტევის საშუალება არ მივცეთ“.



კარელ ბრუკნერმა ჩეხეთის ნაკრები საგულდაგულოდ დამოძღვრა

ნორვეგიელთა მწვრთნელი ორი მოთამაშის შეცვლას აპირებს: იან გუნარ სოლის ადგილს, რომელმაც გასულ შაბათს ჰარეიდეს იმედი ვერ გაამართლა, სავარაუდოდ, ტორსტენ ჰელსტადი დაიკავებს, ხოლო სტეფენ ივერსენს ოლე მარტინ არსტი ჩაენაცვლება. ნახევარმცველებმა, კრისტიან გრინდჰეიმმა და კრისტოფ ჰესტადმა მსუბუქი ტრავმის გამო გუშინწინდელი ვარჯიში გამოტოვეს, სადღეისოდ კი მზად იქნებიან.

ჩეხებს დისკვალიფიცირებული კაპიტანი ტომაშ გალაშეკი დააკლდებათ, რომლის არყოფნაშიც სამკლავურს ალბათ პაველ ნედვედი ჩაიბარებს. ნედვედმა თქვა: „გუნდს ძალიან კარგი კაპიტანი ჰყავს, თუნდაც ის ტრიბუნაზე იჯდეს. მნიშვნელობა არ აქვს, ვინ მოირგებს სამკლავურს“.

გალაშეკმა კი დასძინა: „სამწუხაროა, რომ გუნდს ვერ დავეხმარები, მაგრამ ვეღარაფერს შევცვლი. დარწმუნებული ვარ, ბიჭები უჩემოდაც შეძლებენ გამარჯვებას“.

„შინაც ისევე ვითამაშებთ, როგორც ოსლოში — განცხადა ნედვედმა — ნორვეგია მეტად უხერხული მეტოქეა, რადგან გრძელ და მაღალ პასებზე აქვთ ტაქტიკა აწყობილი. პრაღაში უკეთესი მოედანია, ვიდრე ოსლოში იყო, სადაც დიდი ენერგია დავხარჯეთ. ნორვეგიისთვის გოლის გატანა ძნელი არაა, ამიტომ სრული მობილიზება გვმართებს“.

ტომაშ როსიცკის და დავიდ როზენალს ტრავმა აწუხებდათ, რის გამოც ვარჯიში გამოტოვეს, მაგრამ იმედოვნებენ, რომ მატჩისთვის გამოჯანმრთელდებიან.

**ვაჟა ხუციშვილი**

# გიტარა ოკეანეთის წინააღმდეგ

## ან ყველაფერი, ან არაფერი!




გუს ჰიდინკმა შეგირდები შემოიკრიბა და უთხრა: სასურველი შედეგის მისაღწევად რისკზე წასვლაც მოგვიწევს

**ავსტრალია — ურუგვაი (0:1)**

სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| შვარცერი, ნაილი, ჩიპერფილდი, ვიდმარი, პოპოვიჩი, ემერტონი, გრელა, კულინა, კიუელი, ვიდუკა, ა. ტომპსონი | კარინი, დიოგო, მონტერო, დ. როდრიგესი, ლუგანო, პაბლო გარსია, დ. პერესი, ეშტოიანოფი, რეკობა, რ. მორალესი, ზალაიეტა |

მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

**ზუსტად** ასე შეიძლება „მონათლოდ“ მორიგი დუელი, რომელსაც ავსტრალიელები და ურუგვაელები მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად გამართავენ. ამჯერად „საომარი მოქმედებების სცენა“ სიდნეის ოლიმპიური სტადიონი იქნება.

დარიო როდრიგესის ერთადერთმა გოლმა გასულ შაბათს ხორხე ფოსატის „სელესტეს“ გამარჯვება მოუტანა, თუმც ურიგოდ არც გუს ჰიდინკის ბიჭებს უთამაშიათ — ავსტრალია მონტევიდეოს „სენტენარიოზე“ საკმაოდ მობილურ გუნდად გამოჩნდა და მშობლიურ არენაზე ქომაგთაგან გამხნევებულმა, ეგებ მსოფლიოს ჩემპიონატის ასე ნანატრი საგზურიც მოიპოვოს.

დღევანდელ თამაშს, წინ ერთი საინტერესო დეტალი ერთვის, რაც, ავსტრალიელებს თუ დავუჯერებთ, გადამწყვეტი იქნება. საქმე ისაა, რომ მონტევიდეოდან სამშობლოში ჰიდინკის გუნდი ლაღად, ჩარტერული რეისით დაბრუნდა, ხოლო ურუგვაელებმა კომერციული ბოინგით იჯახირეს.

„ჩვენები უფრო დასვენებულები არიან და ეს მატჩის მოსაგებად კარგი შანსია“ — უთქვამს ჯონ ონილს, ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს. ვერაფერს იტყვი, არგუმენტი ისეთია...

ბოლოს ავსტრალიის ნაკრები მუნდიალზე 1974 წელს იყო, როცა ტურნირი.. გერმანიაში ჩატარდა. დამთხვევაა თუ სხვა რამ, ჰიდინკს სჯერა, რომ მისი შეგირდები 31-წლიან უიღბლობას სწორედ დღეს დაამსხვრევენ.

„გოლი რომ უნდა გავიტანოთ, ფაქტია. ჩვენთვის სასურველი შედეგის მისაღწევად რისკზე წასვლაც მოგვიწევს“ — განაცხადა მწვრთნელმა, რომელმაც 1998-ში ჰოლანდიის, ხოლო 2002-ში სამხრეთ კორეის გუნდები მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალებში გაიყვანა.

ოკეანეთელმა ბიჭებმა, რომელთაც აქამდე ოთხი საპლეიოფო ომი წაუგიათ, სიდნეიში სულ ცოტა, ორი გოლი უნდა შეაგდონ, რათა გერმანიაში მოხვდნენ. წინა ჩემპიონატის პლეი ოფში ავსტრალია სწორედ ურუგვაიმ დაჩაგრა და მწვანე კონტინენტის მკვიდრნი რევანშისთვის ამიტომაც ემზადებიან.

„სტადიონზე მხარს 85 ათასი ფანი დაგვიჭერს. დარწმუნებული ვარ, ურუგვაელები ამ წნეხს ვერ გაუძლებენ. თან ჩვენ ტრავმირებული არავინ გვყავს. ავსტრალიის მიზანი ოღენ მოგება და მსოფლიოს პირველობაზე მოხვედრაა“ — უთხრა მედიას მარკ ვიდუკამ, ოზთა ვარსკვლავმა.

ურუგვაის ნაკრებს დღეს დიეგო ფორლანი ვერ დაეხმარება. „ვილიარეალის“ მეგოლე ტრავმირებულია. მცველი დიეგო ლუგანო ჩვეულ ადგილას ითამაშებს, ხოლო მეტოქის უკანახაზელთა შემუსვრა ინტერელ ალვარო რეკობას დაეკისრება. რეკობამ მონტევიდეოში დარიო როდრიგესს გაატანინა და თავის შერცხვენას არც დღეს აპირებს.

„ჩვენ დიდი საფეხბურთო ქვეყანა ვართ. ჩვენნაირი წარსულით ბევრი ვერც დაიტრაბახებს. ამიტომაც მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენ უნდა ვიყოთ“ — თქვა რეკობამ.

მოგახსენებათ, ურუგვაიში სულ 3 მილიონ 500 ათასი კაცი ცხოვრობს (სიდნეის მოსახლეობაზე ნაკლები), „სელესტე“ კი ორგზის მსოფლიოს ჩემპიონია (1930 და 1950). თუ დღევანდელ შერკინებაში ხორხე ფოსატის გუნდმა სულ მცირე, ფრე გააზერხა, მუნდიალზე მეთერთმეტეჯერ მოხვდება. მონტევიდეოდან ნაკრებს გულშემატკივართა დიდი არმია და ცეცხლოვანი რიტმების მოყვარული ჯგუფი **CAMDOMBE YANGURU** ნაჰყვა. გუშინ რომ ნაკრების ვარჯიში იყო, სწორედ ამ მუსიკოსთა გიტარების თანხლებით ჩატარდა. ტრიბუნებზე ცეკვა-თამაშს სამხრეთელები დღეს გამართავენ.

**ლადო ხომერიკი**

**ბაჰრეინი — ტრინიდადი (1:1)**



მაიკ ტაისონმა უეინ რუნიზე თქვა, ეს ბიჭი ზუსტად ჩემნაირიაო

# სერ ჯეფი და რკინის მაიკი

## უეინ რუნის, მსოფლიო თასისა და სექსის შესახებ

1966 **წლის** მსოფლიოს ჩემპიონატის გმირმა, ფინალში ჰეთ თრიქის გამტანმა ჯეფრი ჰერსტმა თქვა, რომ უეინ რუნი ინგლისის ნაკრების საუკეთესო შანსია მსოფლიო თასის მოსაპოვებლად უკანასკნელი 36 წლის განმავლობაში.

ანუ სერ ჯეფმა იგულისმა, რომ ინგლისელებს 1970 წელს, მექსიკაშიც შეეძლოთ ჩემპიონობა. მისი აზრით, რუნი ნაკრების მთავარი იმედი და გუნდის გამქაჩავი ფეხბურთელია, რომელსაც უმაღლესი წერტილების დაპყრობა შეუძლია.

საკვირველია, მაგრამ რუნის შესახებ ილაპარაკა თვით მაიკ ტაისონმაც.

„ის ხომ ზრდასრული და დაბრძენებული ვინმე არ არის, ან მეცნიერი და ასეთი ვინმე. ის ბიჭია, თავის საქმეში ძალიან წარმატებული და ეტყობა, რომ ბევრი სექსი აქვს. ხალხი ალბათ არ ფიქრობს, რომ ეს მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს ის არის, რაც ხალხს თავად უნდა.

რუნი მილიონების ოცნებათა განხორციელებაა. ეს კანონსწალლა ცხოვრებაა. ბასრზე სიარულა და ზღვარზე მოქმედებაა. მე მომწონს მისი ქცევები.

ხალხი ყოველთვის ისეთი ბიჭების მხარეს იქნება, როგორც რუნისა და, არა წესიერი ბიჭების, სპორტი დაუღვინებელი კაცის ამბავია. ამიტომაც, რომ მაგარ სპორტსმენს წასვლა უჭირს, მას ბიჭად დარჩენა უნდა.

რამდენი რუნისნაირი ან ჩემნაირი ბიჭი იცით, რომლებიც დაუსჯიათ, უწვალებიათ, მაგრამ ფეხებიც ვერ მოუჭამიათ?"

**ირაკლი გამყრელიძე**

# ამერიკელები ლივერპულში 200 მილიონით მოდიან

**სწორედ** გასულ კვირაში გატყობინებდით, „ლივერპულის" შეფი რიკ პერი ამერიკაში იყო და იქ კრაფტების ოჯახს ელაპარაკებოდა ახალი სტადიონის, „სტენლი პარკის" მშენებლობის თაობაზე თქო. ასე ამბობდა თავად პერი, კრაფტების გამოცდილებას ვიზიარებდი ამ საქმეშიო. ეს, რა თქმა უნდა, ტყუილი იყო, ანუ ჭეშმარიტი საქმის ნიღაბი.



რიკ პერიმ „ლივერპულის" სასიკეთოდ საქმე ამერიკელებთან დაიჭირა

ახლა საქმე ასეა: ამერიკელი მილიარდერი რობერტ კრაფტი, რომელსაც ეკუთვნის ორი „ნიუ ინგლენდი", ამერიკული და ჩვეულებრივი ფეხბურთის „პეტრიოტზი" და „რევოლუშენი", ალბათ 200 მილიონ გირვანქიანი ინვესტიციით მოვა და „ლივერპულის" პატრონი შეიქნება.

„ლივერპული" მსოფლიო ბრენდია, ეს ის არის, რასაც ჩვენი ოჯახი დიდ პატივს სცემს — უთხრა კრაფტმა ბი-ბი-სი-ს რადიოს — ჩვენ ყოველთვის გვინდოდა ზრდა".

„ლივერპულმა", რა თქმა უნდა, უარყო ის, რომ კრაფტების ოჯახი კლუბის პატრონი შეიქნება, თუმცა, დაურთო, რომ ინვესტიცია გამორიცხული არ არის. მისტერ პერიმ გაიმეორა, კრაფტებთან იმიტომ ვიყავი, რომ კერძო სტადიონის შენების მათეული ხერხები მესწავლა, ვინაიდან სწორედ ამ ოჯახს ეკუთვნის ამერიკაში ერთ-ერთი პირველი კერძო სტადიონიო.

თუმცა, ისიც სათქმელია, რომ მთავარ წილზე „ლივერპულმა" ბოლო წელიწადნახევარში უარი უთხრა ტაილანდის პრემიერ-მინისტრ ტაქსინ შინივატრას და „ლივერპულის" დიდ ქომაგს, მილიარდერ სტივ მიურეის.

**ირაკლი გამყრელიძე**

# კრესპო დააბრუნეთ!



„**ჩელსი**" გამხეცებულია: ერნან კრესპოს ტრავმა აქვს, მაგრამ არგენტინის ნაკრების მწვრთნელი ხოსე პეკერმანი აპირებს, რომ თავდამსხმელი დღეს ყატარში ათამაშოს. თანაც, პეკერმანი, ჟოზე მაურინიუს აბრალებს ყველაფერს: „კრესპოს ტრავმა იმის ბრალია, რომ მას რეგულარულად არ ათამაშებენ „ჩელსიში". როცა ასეა, ტრავმის საშიშროება მეტია. საერთოდ, საკვირველია, ასეთი კლასის ფეხბურთელს რატომ უწევს სკამზე ჯდომა. მსოფლიო თასამდე ექვსი თვეა და მინდა, რომ ის კლუბის ძირითადში იყოს".

ეს ბოლო ტრავმა კი ერნან კრესპომ შაბათს, ინგლისელებთან 2:3 წაგებულ მატჩში მიიღო, პეკერმანი კი ყატართან იგივე შემადგენლობის გამოყვანას აპირებს.

ამასობაში, „ჩელსიმ" მხოლოდ ინგლისელებთან თამაშის უფლება მისცა კრესპოს, ისიც იმიტომ, რომ ამ თამაშით უკეთეს ფორმაში შესულიყო. ყატარში მატჩის წინ კი კლუბი მისი ჯანზე ყოფნის დადასტურებას ითხოვს. მაურინიუს სურს, შაბათს „ნიუკასლის" წინააღმდეგ გამოიყენოს კრესპო, მით უმეტეს, რომ დიდიე დროგბა დისკვალიფიცირებულია. მაგრამ, კრესპო პარასკევამდე ყატარში რჩება, რაც მის თამაშს კლუბში შეუძლებელს ხდის.

**ირაკლი გამყრელიძე**

# კანტონა აღიარეს



**ინგლისის** პრემიერლიგის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად ფრანგი ერიკ კანტონა დაასახელეს. რესპონდენტთა 17 პროცენტმა კანტონას პირველობა აღიარა. გამოკითხვაში, რომელიც პრემიერლიგის სპონსორმა **BARCLAYS**-მა ჩაატარა, 170 ქვეყნის 26 ათასმა ქომაგმა მიიღო მონაწილეობა.

ამჟამად მოთამაშე ფეხბურთელთაგან პირველ ადგილზე ტიერი ანრი გავიდა, ხოლო საუკეთესო მწვრთნელის ტიტული ჟოზე მაურინიუს ერგო.

კითხვაზე, თუ რომელი ფეხბურთელის ხილვას ისურვებდნენ ყველაზე მეტად პრემიერლიგაში, უმრავლესობის პასუხი იყო: რონალდინიო!

სტადიონებიდან კი პირველობა მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდს" ერგო. ქომაგთა აზრით, სწორედ ეს სტადიონია იდეალური.

**ვაჟა ხუციშვილი**

## იტალია

სერია B. XV ტური

ბოლონია 0:0 მანტოვა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანტოვა | 15 | 10 | 5 | 0 | 21:7 | 35 |
| ტორინო | 15 | 8 | 5 | 2 | 15:7 | 29 |
| ატალანტა | 15 | 9 | 1 | 5 | 22:17 | 28 |
| ჩეზენა | 15 | 8 | 3 | 4 | 23:15 | 27 |
| მოდენა | 15 | 6 | 7 | 2 | 18:10 | 25 |
| ვერონა | 15 | 6 | 7 | 2 | 16:8 | 25 |
| არეცო | 15 | 6 | 6 | 3 | 18:11 | 24 |
| კატანია | 15 | 6 | 6 | 3 | 20:16 | 24 |
| პიაჩენცა | 15 | 6 | 5 | 4 | 23:18 | 23 |
| ბრეშა | 15 | 5 | 7 | 3 | 21:16 | 22 |
| ტრიესტინა | 15 | 6 | 4 | 5 | 13:15 | 22 |
| კროტონე | 15 | 5 | 6 | 4 | 15:12 | 21 |
| პესკარა | 15 | 6 | 3 | 6 | 21:20 | 21 |
| ბარი | 15 | 4 | 6 | 5 | 15:16 | 18 |
| ბოლონია | 15 | 4 | 6 | 5 | 15:16 | 18 |
| რიმინი | 15 | 4 | 5 | 6 | 18:20 | 17 |
| ალბინოლეფე | 15 | 2 | 7 | 6 | 9:15 | 13 |
| ვიჩენცა | 15 | 3 | 4 | 8 | 15:24 | 13 |
| ტერნანა | 15 | 2 | 5 | 8 | 8:23 | 11 |
| აველინო | 15 | 2 | 4 | 9 | 12:27 | 10 |
| კატანძარო | 15 | 2 | 3 | 10 | 7:18 | 9 |
| კრემონეზე | 15 | 1 | 3 | 11 | 9:23 | 6 |

## საფრანგეთი

მეორე დივიზიონი

XVI ტური

ბრესტი 0:1 ლორიანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სედანი | 15 | 9 | 4 | 2 | 22:13 | 31 |
| ბასტია | 15 | 9 | 3 | 3 | 23:9 | 30 |
| ლორიანი | 16 | 8 | 5 | 3 | 22:11 | 29 |
| ვალანსი | 16 | 8 | 5 | 3 | 20:13 | 29 |
| კრეტეი | 16 | 8 | 4 | 4 | 28:14 | 28 |
| შატორუ | 16 | 6 | 7 | 3 | 22:18 | 25 |
| ლე ავრი | 16 | 5 | 6 | 5 | 21:19 | 21 |
| ამიენი | 16 | 5 | 6 | 5 | 18:17 | 21 |
| გრენობლი | 16 | 5 | 5 | 6 | 14:17 | 20 |
| კაენი | 16 | 4 | 7 | 5 | 16:15 | 19 |
| რეიმსი | 16 | 4 | 7 | 5 | 12:11 | 19 |
| ბრესტი | 16 | 4 | 7 | 5 | 16:16 | 19 |
| დიჟონი | 16 | 4 | 7 | 5 | 13:16 | 19 |
| ისტრი | 16 | 4 | 6 | 6 | 15:20 | 18 |
| გენიონი | 16 | 3 | 8 | 5 | 11:19 | 17 |
| კლერმონი | 16 | 4 | 5 | 7 | 12:27 | 17 |
| მონპელიე | 16 | 3 | 6 | 7 | 14:23 | 15 |
| ლავალი | 16 | 4 | 3 | 9 | 15:25 | 15 |
| გენგამი | 16 | 2 | 8 | 6 | 9:13 | 14 |
| სეტე | 16 | 2 | 7 | 7 | 16:23 | 13 |

*იტალიური „მილანის“ ლიდერმა ანდრეი შევჩენკომ იმედი გამოთქვა, რომ კლუბის კაპიტანი და ლეგენდა პაოლო მალდინი ბოლოს და ბოლოს მოიპოვებს „ოქროს ბურთს“. მოგეხსენებათ, რომ „ფრანს ფუტბოლის“ ამ პრესტიჟულ ჯილდოზე როგორც მალდინი, თავად შევჩენკოცაა წარდგენილი*

# შევა მალდინის ასახელებს
## ბობო ბეტისსაც მოუნდა


ანდრეი შევჩენკო

„მე ამ ჯილდოს ულაპარაკოდ პაოლო მალდინის მივცემდი. იგი დიდი კაპიტანი და ბრწყინვალე ადამიანია. ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. დიდი ტიტულებიც აქვს მოგებული. „ოქროს ბურთსაც“ სწორედ ასეთებს აძლევენ და მალდინი ნამდვილად იმსახურებს ამას“ — თქვა უკრაინელმა ფეხბურთელმა.

მილანური თემა კრისტიან ვიერის შესაძლო ტრანსფერით განვაგრძოთ. „ბობოს“ აქამდე „ესპანიოლს“ უკავშირებდნენ, ხოლო ახლა მისი შეძენის მთავარ მსურველად ასევე პრიმერადივიზიონის ბინადარ „ბეტისს“ ასახელებენ.

სევილიურ კლუბს თავისი ლიდერი, რიკარდო ოლივეირა დაუშავდა. ბეტისელებიც ახლა ბრაზილიელის შემცვლელს ეძებენ და ერთ-ერთ ვარიანტად სწორედ 32 წლის ვიერის განიხილავენ. თავად ვეტერან თავდამსხმელს სათადარიგოთა სკამზე ჯდომას კლუბის გამოცვლა ურჩევნია, თუნდაც იმიტომ, რომ მუნდიალზე მოხვედრის შანსი არ დაკარგოს.

**ქოქი ქანდელაკი**

# ტოტი ნაკრებიდან მიდის



**ფრანჩესკო ტოტიმ** ფაბიო კაპელოს შეუტია „რომა“ — „იუვენტუსის“ მატჩამდე სამი დღით ადრე.

„ის მართალი კაცი არაა — თქვა რომაელმა „იუვეს“ მწვრთნელზე, რომლის ხელქვეითაც სკუდეტო მოუგია — კაპელოს გუნდში არასოდეს ვითამაშებ, ეს გადაწყვეტილი ამბავია. ჩემთვის მთავარია ადამიანური ფაქტორი და არა ის, თუ როგორია მწვრთნელი. ლუჩანო სპალეტი, კაპელოსგან განსხვავებით, მართალი კაცია. ის ფეხბურთელებს სხვადასხვანაირად არ ექცევა, ტოტი იქნება თუ ანტონიო კასანო, სპალეტისთვის ყველა თანაბარია“.

მოგეხსენებათ, ფრანჩესკო ტოტისა და ფაბიო კაპელოს შორის სიტყვიერი ომი გასულ სეზონში დაიწყო. მაშინ მწვრთნელმა „იუვენტუსის“ ფეხბურთელებს უთხრა, ტოტისგან მაგალითს ნუ აიღებთო. „რომას“ ნახევარმცველი იმანაც გააოცა, რომ „იუვეს“ გენერალური დირექტორი ლუჩანო მოჯი შესაძლოა, რომში დაბრუნდეს. „ეს გამორიცხულია — გაიხუმრა ტოტიმ — ალბათ ეროვნულ გუნდში უფრო გამოიძახებენ, ვიდრე „რომაში“ დაბრუნდება“.

რაც შეეხება „სკუადრა აძურას“, ფრანჩესკო ტოტიმ განაცხადა: „მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებს ალბათ დავტოვებ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ზეედორფი გაძარცვეს



**კლარენს ზეედორფი** დააყაჩაღეს — „მილანის“ ჰოლანდიელ ლეგიონერს აგარაკზე ღამით ოთხი ნიღბიანი დაესხა თავს. სახლში იყვნენ თვითონ ზეედორფი, მისი ცოლი, სამი წლის გოგო და მოახლე.

ყაჩაღებმა სამზარეულოდან დანა აიღეს და ფეხბურთელს სეიფი გაახსნევინეს, საიდანაც 110 ათასი ევროს ღირებულების ძვირფასეულობა წაიღეს. ზეედორფის თქმით, მძარცველები სლავური აქცენტით საუბრობდნენ.

პოლიციის განცხადებით, იტალიის ჩრდილოეთში ბანდები დათარეშობენ და უკვე რამდენიმე ოჯახიც „გაასუფთავეს“. მათ შორის ბიზნესმენი ჯანი მარანგონი, რომლის ცოლ-შვილიც ამ წლის დასაწყისში აიყვანეს მძევლად.

**ვაჟა ხუციშვილი**


# იყიდება



ამერიკიდან ახალი ჩამოყვანილი, 1999 წელს გამოშვებული **ISUZU RODEO** 2.2 ბენზინის ძრავით, იდეალურ მდგომარეობაში, განბაჟებული.
ფასი შეთანხმებით. ტელ: 8 99 55 80 27


## ფეხბურთის რუკასთან



**გერმანიის** ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ მეკარე ოლივერ კანი ფეხბურთიდან წასვლას 2006 წლის მუნდიალის მერეც არ გეგმავს. „მსოფლიოს ჩემპიონატი ჩემს გადაწყვეტილებაზე არ იმოქმედებს. იქ უბრალოდ კარგად გამოჩნდება, როგორ ფორმაში ვარ“ — თქვა 36 წლის ვეტერანმა. გავრცელებული ცნობით, მან წინადადება იაპონიიდან მიიღო და თუ „ბაიერნთან“ კონტრაქტს ვერ გააგრძელებს, სათამაშოდ აზიაში წავა.

**იტალიური** პრესის ცნობით, ტურინის „იუვენტუსმა“ ივან ელგერას ხელში ჩასაგდებად „მილანთან“ შებრძოლება გადაწყვიტა. 30 წლის ფეხბურთელს „სამეფო კლუბთან“ კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება და თავისუფალ აგენტად იქცევა. იტალიურ გრანდებსაც სწორედ გამოცდილი მოთამაშის უფასოდ დამატება ხიბლავთ. დიდი შანსია, ელგერამ „რეალთან“ ახალი შეთანხმებაც გააფორმოს.

**ინგლისურ** „ტოტენჰემს“ 21 წლის ჰოლანდიელი ვარსკვლავის, არიენ რობენის შეძენა სურს. „ჩელსიში“ რობენს ბევრი პრობლემა აქვს. მე კი მას ძალიან მისაღები წინადადება შევთავაზე. პრობლემა არც ფულია და იმედია, ტრანსფერი შედგება“ — თქვა „მამლების“ თავკაცმა მარტინ იოლმა.

**ესპანურმა** „ბარსელონამ“ ეგებ ამერიკის ჩემპიონატში საკუთარი ფარმ-კლუბი ათამაშოს. აღსანიშნავია, რომ ამგვარი რამ უკვე მოხდა — წლეულს მეიჯორ სოკერ ლიგაში მონაწილეობა მიიღო მექსიკური „გვადალახარას“ ფარმკლუბმა „ჩივასმა“. „ჩემი აზრით, ცუდი იდეა ნამდვილად არ არის, მაგრამ ამაზე კიდევ კარგად ვიფიქრებთ. მეიჯორ სოკერ ლიგა საკმაოდ მაღალი დონის ჩემპიონატია და შეგვეძლება, ახალგაზრდა ფეხბურთელები იქ გამოცდილების მისაღებად გავუშვათ. თანაც, ამერიკაში „ბარსელონას“ პოპულარობა ერთიორად გაიზრდება“ — განაცხადა კატალონიელთა პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ.

**იტალიელი** ფორვარდი მარკო დი ვაიო ისევ სამშობლოში დაბრუნებაზე ფიქრობს. „ვალენსიაში“ კიკე სანჩეს ფლორესის მისვლის მერე მან საერთოდ დაკარგა ადგილი „ღამურების“ ძირითად შემადგენლობაში და, ცხადია, ამას ვერ ეგუება. „სალერნიტანას“, „პარმასა“ და „იუვენტუსის“ ყოფილი თავდამსხმელის სახელი ბოლოს ისევ მილანურ კლუბებს დაუკავშირეს. ამბობენ, დიდი შანსია, ტრანსფერი იანვარში შედგეს.

**ფრანგული** პსჟ-ს რუსი ნახევარმცველი სერგეი სემაკი ალბათ გუნდს გამოიცვლის. მისით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული, მათ შორის მოსკოვის „ლოკომოტივი“ და „მარსელი“. „არ ითამაშო ან მინდორზე სულ რამდენიმე წუთი გაატარო, ძალიან ძნელია. ფეხბურთში 3-4 წელი დამრჩა და არ მინდა, ეს დრო სათადარიგოთა სკამზე გავატარო“ — აღნიშნა სემაკმა.

**გერმანულმა** „დორტმუნდმა“ ტრავმების გამო საკმაო ხნით დაკარგა ორი ფორვარდი — იან კოლერი და სედრიკ ვან დერ გუნი. ამიტომ იანვარში დორტმუნდელები თავდამსხმელებს დაიმატებენ. მათი პირველი სამიზნე შვეიცარიელი ალექსანდრ ფრეი ყოფილა, მაგრამ თუ ფრანგულ „რენთან“ მოლაპარაკება არ მოხერხდა, კლუბი აილტონზე გადაერთვება. როგორც იცით, ბუნდესლიგაში უკვე კარგად გამოცდილი ბრაზილიელი ამჟამად თურქულ „ბეშიქთაშში“ ირიცხება.

**ბრაზილიელი** ფორვარდი ადრიანო მილანის „ინტერის“ ქომაგებს მალე ძველებურად ათამაშებას ჰპირდება. „ყველაფერს ძალიან მშვიდად ვუყურებ. მე ახლა რთული პერიოდი მიდგას, რომელიც ყველა ფეხბურთელს აქვს ხოლმე. იმედია, ცოტა ხანში ფორმას 100 პროცენტით აღვიდგენ და ისევ ძველი ადრიანო ვიქნები, რომელიც ხალხს აოცებს“ — თქვა 23 წლის ფეხბურთელმა.

**ესპანურმა** „რეალმა“ ანტონიო კასანოს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადასვლა გამორიცხა. „იგი „რომასთან“ კონტრაქტს გაახანგრძლივებს, ძირითად შემადგენლობაშიც დაბრუნდება და ზაფხულში რომელიმე გრანდში გადავა. შეიძლება ეს არაიტალიური კლუბიც იყოს, მაგრამ არა „რეალი“ — თქვა მადრიდელთა წარმომადგენელმა ერნესტო ბრონძეტიმ.

**გერმანულმა** „ბაიერნმა“ მოულოდნელად განაცხადა, რომ მიხაელ ბალაკთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას აღარ აპირებს. „ჩვენ ოფიციალურად ვთქვით უარი ბალაკთან შეთანხმების გახანგრძლივებაზე“ — თქვა მიუნხენელთა გენერალურმა მენეჯერმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ. ეს ნახევარმცველის მსურველებს, „რეალს“, „მანჩესტერსა“ და „ინტერს“ საქმეს ერთიორად უადვილებს.

**შვედეთის** ნაკრებისა და „იუვენტუსის“ თავდამსხმელი ზლატან იბრაჰიმოვიჩი მალე სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელ ცნობილ ფირმა **NIKE**-თან გააფორმებს კონტრაქტს. შეთანხმების პირობები ჯერჯერობით არ ხმაურდება, მაგრამ გავრცელებული ცნობით, ფეხბურთელი რამდენიმე წლის მანძილზე **NIKE**-ის პროდუქციის რეკლამირებისთვის 7 მილიონ გირვანქას მიიღებს.

**იტალიის** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ფრანკო კარაროს იმედი აქვს, რომ მარჩელო ლიპი ნაკრებთან კონტრაქტს 2008 წლამდე გაახანგრძლივებს, მოქმედ შეთანხმებას კი ვადა 2006 წლის მუნდიალის შემდეგ გასდის. „ფედერაცია ლიპის მუშაობით კმაყოფილია და იმედია, მასთან თანამშრომლობას მუნდიალის შემდეგაც გავაგრძელებთ. ჩვენ კმაყოფილები ვართ თამაშის იმ ხარისხით, რომელსაც „სკუადრა აძურა“ ბოლო დროს აჩვენებს“ — განაცხადა კარარომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### ინგლისი. პრემიერლიგა

**19 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:45 | 1 | 'უიგანი-არსენალი | 4.20 | 3.30 | 1.80 | 1.84 | 1.25 | 1.16 |
| 19:00 | 2 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 3.85 | 3.30 | 1.90 | 1.77 | 1.27 | 1.20 |
| 19:00 | 4 | ჩელსი-ნი'უკასლი | 1.30 | 4.60 | 9.00 | 1.01 | 1.13 | 3.04 |
| 19:00 | 6 | ლივერპ'ული-პორტსმ'უთი | 1.40 | 4.30 | 7.00 | 1.05 | 1.16 | 2.66 |
| 19:00 | 7 | სიტი-ბლექბერნი | 1.95 | 3.20 | 3.70 | 1.21 | 1.27 | 1.71 |
| 19:00 | 8 | სანდერლენდი-ასტონ ვილა | 2.55 | 3.20 | 2.60 | 1.41 | 1.28 | 1.43 |
| 21:15 | 9 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 2.50 | 3.10 | 2.70 | 1.38 | 1.29 | 1.44 |

**20 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 10 | ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 1.70 | 3.30 | 4.90 | 1.12 | 1.26 | 1.97 |
| 20:00 | 11 | მიდლსბრო-ფ'ულემი | 1.75 | 3.30 | 4.70 | 1.14 | 1.27 | 1.93 |

**21 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 12 | ბირმინგემი-ბოლტონი | 2.45 | 3.20 | 2.70 | 1.38 | 1.28 | 1.46 |

### ინგლისი. ჩემპიონატი

**18 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 14 | დერბი-ვ'ულვერჰემპტონი | 2.65 | 3.00 | 2.55 | 1.40 | 1.29 | 1.37 |

**19 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 15 | ბარნლი-ლესტერი | 2.10 | 3.10 | 3.30 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
